ПОЧТА СССР 4 КОП. 1966

...А СССР 1 КОП. 1966

ПОЧТА СССР 1 КОП. 1966

...СР 4 КОП. 1966

R

№ 84
ტყიბული 2
ТКИБУЛИ 2
ГРУЗ...

ТКИБУЛИ 2 ГРССР
30 12 ...

Куда ქ. თბილისი
ლენინის ქუჩა №-68.
საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების

Кому რედაქციას

Индекс предприятия связи места назначения

*Индекс предприятия связи и адрес отправителя*

ქ. ტყიბული
ლენინის ქჩ-7ბრ
384080

ს ს რ კ
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო
საქართველოს ქვანახშირის მომპოვებელი
საწარმოო გაერთიანება „საქნახშირი"
ტყიბულის ლენინის სახ. შახტი
ქ. ტყიბული მეშახტის ქ. № 39

Министерство угольной промышленности СССР
Грузинское производственное объединение
по добыче угля „Грузуголь"
ТКИБУЛЬСКАЯ ШАХТА ИМЕНИ ЛЕНИНА
г. Ткибули ул Шахтеров № 39

№ 015-348/577 „30" XII 1977 წ. г.

თბილისი, ლენინის ქ.68

საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური გადაცემების რედაქციას

ძვირფასო რედაქციავ!

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეთა სახელით დიდ მადლობას და კმაყოფილებას მოგახსენებთ ტყიბულის მომღერალთა გუნდის გამოსვლის გადაცემის მოწყობისათვის, ამ გუნდში მღერის ჩვენი შახტის წამყვანი მუშები: გივი გიორგაძე, გურამ კუბლაშვილი, ლიდა ხოლოშენკო და სხვები. ვერც კი წარმოგვედგინა თუ მეშახტეთა გუნდს ამდენი კარგი და კეთილი საქმის გაკეთება შეეძლო. საამაყოა, რომ ჩვენი ბიჭები მიწისქვეშა ღრმა სანგრევებში მაღალხარისხოვან სათბობს აძლევენ ქვეყანას და ამავე დროს თვითშემოქმედებაში მონაწილეობის მისაღებადაც პოულობენ დროს.

ჩვენი შახტის კლუბთანაც გვაქვს შექმნილი ქართულ-ხალხური საკრავთა ორკესტრი, რომელსაც ჩვენივე შახტის ზეინკალი კარლო ქასრაძე ხელმძღვანელობს და ხშირად გამოდიან ტყიბულის მშრომელთა წინაშე და უჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას, მეშახტეთა დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნული გუნდი რამდენჯერმე გამოვიდა ტელევიზიით.

ჩვენი შახტის მუშა-მოსამსახურეთა სახელით გვინდა გთხოვოთ, რომ ტყიბულის მომღერალთა გუნდის ამასწინანდელი გამოსვლა კიდევ გაიმეოროთ ვინაიდან არც ჩვენი და არც ტყიბულის სხვა შახტების მეორე და მესამე ცვლებში მომუშავე მეშახტეებს არ უნახავს ზემოთ ხსენებული 20 ოქტომბრის გადაცემა.

თუ დიდ სიძნელეებთან არ იქნება დაკავშირებული, ძალიან გთხოვთ კიდევ ერთხელ მოაწყოთ ტყიბულელ მეშახტეთა მომღერალთა გუნდის გადაცემა, ამავე დროს სასურველია გადაცემა მოეწყოს საღამოს 9-დან 10 საათამდე,

რადიო-ტელევიზია
შემოსვლის ნომერი 131
12 I 78

როცა პირველი,მეორე და მესამე ცვლებში მომუშავე მეშახტეებს საშუალება ექნებათ მოისმინონ მათი ამხანაგების სიმღერები.

ასევე თხოვნით მოგმართავთ აგვისტოში მეშახტეთა დღესთან დაკავშირებული კონცერტი ჩვენი მეშახტეების ძალებით მოეწყოს,ეს იქნება კარგი სტიმული მეშახტეთა შორის თვითშემოქმედების კიდევ უფრო განვითარებისათვის.

რაც შეეხება ჩვენს შრომით მიღწევებს ვ.ი.ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა სახელმწიფო გეგმა 21 დღით ადრე შეასრულა და სამშობლოს მისცა 40 ათას ტონამდე ზეგეგმითი ქვანახშირი,ხოლო იმ უბანმა,სადაც გივი გიორგაძე მუშაობს ასევე გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა. დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი მეშახტეთა გუნდის ასეთი დიდი შეფასებისათვის, ტელევიზიით მისი გადაცემისათვის, იმედი გვაქვს შესაძლებლად ჩათვლით ჩვენი შახტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის თხოვნის შესრულებას და უახლოეს დღეებში ერთხელ კიდევ მოაწყობთ მეშახტეთა მომღერალთა გუნდის სიმღერების ტელეფიზიით გადაცემას.

ვ.ი.ლენინის სახელობის შახტის
კოლექტივის სახელით:

შახტის დირექტორი: ვ.გ.პატარიძე

პარტიული კომიტეტის მდივანი: ა.კ.ქოჩიაშვილი

საშახტო კომიტეტის
თავმჯდომარე: ტ.ა.ჭიქაბერიძე

კომკავშირის კომიტეტის
მდივანი: თ.მ.ჩუბინიძე